საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 2578 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე

1. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების არა უმეტეს 12 769 000 (თორმეტი მილიონ შვიდას სამოცდაცხრა ათასი) ლარით გაზრდის მიზნით, შეამციროს:

ა) საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებები – 2 941 100 (ორი მილიონ ცხრაას ორმოცდაერთი ათას ასი) ლარით;

ბ) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებები – 665 000 (ექვსას სამოცდახუთი ათასი) ლარით;

გ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებები არა უმეტეს – 4 300 000 (ოთხი მილიონ სამასი ათასი) ლარით;

დ) „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები“ – პროგრამული კოდისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებები – 77 900 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაასი) ლარით;

ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებები – 4 785 000 (ოთხი მილიონ შვიდას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარით.

2. ზოგიერთი საავტომობილო გზის (საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზა, ზემო იმერეთი (საჩხერე)-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ხევი-უბისის მონაკვეთი, ქუთაისის შემოვლითი გზის მეორე ზოლი) რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია-მშენებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამოუყოს არა უმეტეს 19 500 000 (ცხრამეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**